- საფრანგეთის გზებზე — 1-ლი და მე-4 გვ.
- აფრები სოხუმის ყურეში — მე-2 გვ.
- მოჭადრაკეებმა გადალახეს „ეკვატორი“ — მე-3 გვ.
- ერთი გაზეთის ნახილი... — მე-4 გვ.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 127 (3104) 3 1966 წ. ივლისი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## პრეზიდენტი დე გოლი ლაპარაკობს სპორტზე

საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი, რომელიც ახლახან საბჭოთა კავშირში იყო სტუმრად, დათანხმდა საკდესის სპორტული რედაქციის მუშაკების თხოვნას და გაუზიარა მათ თავისი შეხედულება სპორტზე.

დე გოლი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სპორტს. ორდენი „დამსახურებისთვის“ საფრანგეთში პირველად სწორედ მოწინავე სპორტსმენებს — მსოფლიო რეკორდსმენს მიშელ ჟაზის, ოლიმპიურ ჩემპიონებს სათხილამურო სპორტში, დებს მარიელ და კრისტინ გოიშელებს მიეკუთვნათ. „სპორტში, ისევე როგორც ცხოვრებაში, მთავარია გამარჯვება შეგეძლოს“, — თქვა პრეზიდენტმა, როცა დებს მაღალ ჯილდოს გადასცემდა.

დე გოლის აზრით, სპორტს უნდა ხელმძღვანელობდეს სპორტსმენი, რომელმაც იცის და უყვარს თავისი საქმე. ამიტომაც თავის მიერ ჩამოყალიბებულ პირველსავე პარტიაში დანიშნა მან ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა მინისტრად ცნობილი ფრანგი მთამსვლელი მორის ერცოგი.

თავად გენერალი სპორტის არც ერთ სახეობაში არ ვარჯიშობს. მართალია, იგი მუდამ იყო გატაცებული ცხენოსნობით... რაც კაცმა რომ თქვას, არც არის წმინდა სპორტი, მაგრამ ჯანმრთელობის განმტკიცების უებარი საშუალებაა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებულია, პრეზიდენტი ახლაც დიდ დროს (სამ საათამდე) უთმობს ფეხით სიარულს.

## სსრ კავშირის პირველობა

მოსკოვი, 2 ივლისი. აქ შედგა საკავშირო პირველობის მორიგი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ „დინამო“ (მოსკოვი) — „არარატი“ (ერევანი).

მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 7:2.

## გუშინ...

### დუბლიორთა მატჩი

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა კალენდარული თამაში ფეხბურთში საკავშირო პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოს“ და ბაქოს „ნეფტიანიკის“ დუბლშემადგენლობანი.

მატჩის შედეგია 0:0.

## ფეხბურთი

### დღეს

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ადგილობრივი „დინამოსა“ და ბაქოს „ნეფტიანიკის“ ოსტატთა მატჩის წინ გაიმართება ფინალური შეხვედრა „ტყავის ბურთის“ პრიზზე: „დელისი“ (თბილისი) — „ბაზალეთი“ (აჭარა).

დასაწყისი 18 საათზე.

## ... საათი!

◆ პარიზი, 2 ივლისი. 12 ქვეყნის — სსრ კავშირის, საფრანგეთის, გფრ-ის, ბელგიის, ესპანეთის, იტალიის, ინგლისის, ჰოლანდიის, პოლონეთის, შვეიცარიის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის 96 ველოსიპედისტმა აიღო სტარტი აქ დაწყებულ საერთაშორისო სამოყვარულო ველორბოლა „ტურ დე ლ'ავენირში“. I ეტაპში (გუნდური რბოლა 14,544 კილომეტრზე), რომელიც ტულუზის ჩრდილოეთით, ქალაქ ალბის გარეუბანში მოეწყო, გაიმარჯვეს იტალიელებმა — 1:10.44,0. საბჭოთა ველომრბოლელებმა (იიფერტი, ჩერევკო, დოხლიაკოვი და ურბანოვიჩი) III ადგილი დაიკავეს — 1:11.04,0. II ადგილზე გავიდნენ ფრანგები, რომელთა რიგებშიც გამოდიოდნენ „მშვიდობის ველორბოლის“ წლევანდელი გათამაშების გამარჯვებული ბ. გიუიო და მისი ძმა კლოდი.

◆ ოდესა, 2 ივლისი. დღეს აქ დაიწყო ცნობილი საბჭოთა ათლეტების, ძმები ზნამენსკების მემორიალი, რომელშიც სსრ კავშირისა და უცხოეთის ბევრი საუკეთესო მძლეოსანი მონაწილეობს. 100 მეტრზე ვაჟთა რბენაში ამ ტრადიციული შეჯიბრების ახალი რეკორდი დაამყარა იაპონელმა სპრინტერმა ს. იიძიმამ — 10,1 წამი. ლენინგრადელმა ა. მიხაილოვმა კვლავ, უკვე მეშვიდედ მოიგო 110 მეტრზე თარჯრბენი — 13,8 წამი. სიგრძეზე ქალთა ხტომაში ყველას აჯობა ტ. შჩელკანოვამ — 630 სმ. გ. ბლიზნეცოვმა ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა ჭოკით ხტომაში — 514 სმ.

## პროგნოზები...

ამრიგად, 22 ფეხბურთელი, რომლებმაც უნდა დაიცვან საბჭოთა ფეხბურთის პრესტიჟი მსოფლიო ჩემპიონატში, ცნობილია. რა წარმატებებსვარაუდობენ ისინი ლონდონში? ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი? — ამ შეკითხვებით მიმართა საკდესის კორესპონდენტმა ა. კაჩალოვმა ჩვენი ნაკრების 12 წევრს.

ა. ბანიშევსკიმ, ა. კავაზაშვილმა და ვ. ვორონინმა ერთხმად განაცხადეს, რომ ოქროს ქალღმერთი წილად ხვდება სსრ კავშირის ნაკრებს.

ა. შესტერნიოვმა, ვ. პონომარიოვმა და ე. მარქაროვმა უპირატესობა მიანიჭეს ინგლისს, როგორც მომავალი ჩემპიონატის მასპინძელს.

გ. სიჭინავას, მ. ხურცილავას და გ. ჰუსაინოვს მიაჩნიათ, რომ ჟიულ რიმეს თასი მესამედ მოხვდება ბრაზილიელთა ხელთ. ი. ჩისლენკომ მთავარ პრეტენდენტთა შორის დაასახელა ინგლისი და ბრაზილია. ლ. იაშინმა და ს. მეტრეველმა თავი შეიკავეს კონკრეტული პასუხისგან: „გუნდების რაოდენობა დიდია და გამარჯვება ყველას სწადია“.

* * *

ჟურნალისტებმა წინადადება მისცეს ბულგარეთის ნაკრების მოთამაშეებს პასუხი გაეცათ ორ შეკითხვაზე:

1) რომელი მატჩი მიგაჩნიათ ყველაზე ძნელად III ჯგუფში (ბულგარეთი, ბრაზილია, უნგრეთი, პორტუგალია)?

2. ვინ მოიგებს მსოფლიო თასს?

ნაიდენოვი (მეკარე): 1. ყველა, 2. ინგლისი.

შალამანოვი (მცველი): 1. ყველა 2 ინგლისი ან ბრაზილია.

ასპარუხოვი (თავდამსხმელი): 1. მატჩი უნგრეთთან, 2. ინგლისი.

კოლევი (თავდამსხმელი): 1 მატჩები ბრაზილიასთან და უნგრეთთან, 2. ინგლისი.

კოსტოვი (თავდამსხმელი): 1. ყველა. 2. სსრ კავშირი.

კოტკოვი (თავდამსხმელი): 1. მატჩი უნგრეთთან. 2. ინგლისი.

ვოიცოვი (ნახევარმცველი): 1. მატჩი ბრაზილიასთან, 2. ინგლისი.

* * *

ბუდაპეშტის ყოველკვირეულ „ლობოგოს“ კორესპონდენტმა შეკითხვით მიმართა ამ ქვეყნის ნაკრების რამდენიმე წევრს: რას ელით მსოფლიო ჩემპიონატისგან?

აი, რა უპასუხეს ფეხბურთელებმა.

სენტმიხაი (მეკარე): ჩვენ, მეკარეებს, ძალიან გაგვიჭირდება, ვინაიდან გუნდების უმეტესობა, ალბათ, შეტევას აწარმოებს თავდამსხმელთა მცირე რიცხვით. მეკარეებს ცოტა სამუშაო ექნებათ. ეს კი... ყველაზე უარესია: იშვიათი იერიშების დროს ბურთების გაშვება უფრო იოლად ხდება.

კაპოსტა (მცველი): ეს იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემპიონატი. ჩვენთვის საჭიროა გავიდეთ თუნდაც 8 უძლიერესის რიცხვში.

შოვარი (მცველი): ჩემპიონატი მოულოდნელობებით იქნება აღსავსე და უნგრეთის ნაკრების გამოსვლაც ერთ-ერთი მათგანი უნდა იყოს. იმედი მაქვს, რომ საპრიზო სამეულში მოვხვდებით.

შიპოში (ნახევარმცველი, გუნდის კაპიტანი): ყველაზე სახიფათო მეტოქეებად მიმაჩნია ინგლისის, იტალიისა და ბრაზილიის გუნდები, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ორ მათგანს მაინც გავუსწრებთ.

ბენე (თავდამსხმელი): მსოფლიო ჩემპიონატში ყველაფერი ხდება და გამარჯვების მოპოვება ყველას შეუძლია. ვფიქრობ, მოვხვდებით ოთხ უძლიერესს შორის.

ფენვეში (თავდამსხმელი): კარგ შედეგებს ველი ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებისგან.

## მსოფლიო ჩემპიონატამდე დარჩა 8 დღე

## ემზადებიან...

◆ ვენა, 2 ივლისი. ავსტრიის დედაქალაქიდან 60 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ქალაქი კრემსი. აქ ამთავრებენ თავიანთ მზადებას მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისთვის არგენტინელი ფეხბურთელები. ისინი შეხვდნენ ადგილობრივ „ფორვერტსს“ და დაამარცხეს იგი — 6:1.

* * *

ვენაში იმყოფება ბულგარეთის ნაკრები, რომელსაც აქ სპარინგმატჩი ჰქონდა ცნობილ ავსტრიულ კლუბ „რაპიდთან“. დასაწყისში დაწინაურდნენ მასპინძლები (გოლები გაიტანეს გლიპნერმა და ზაიტლმა). ბულგარელებმა შესვენებამდე მხოლოდ 1 ბურთი გაქვითეს. ეს შეძლო იაკიმოვმა, რომელსაც პრესა მატჩის საუკეთესო მოთამაშეს უწოდებს.

მეორე ტაიმში კოლევმა და დერმენჯიევმა კიდევ 2 ბურთი გაიტანეს და გამარჯვება დარჩათ ბულგარელებს — 3:2.

◆ ლონდონი, 2 ივლისი. ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ დაასახელა 22 ფეხბურთელი, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატში გამოვლენ.

მეკარეები: გ. ბენქსი (ნაკრებში ითამაშა 26 მატჩი), პ. ბონეტი (ახალბედა), რ. სპრინგეტი (33), დაცვა: ჯ. არმფილდი (43), ჯ. კოენი (22), რ. ვილსონი (43), ჯ. ბირნი (2); ნახევარდაცვა: ნ. სტაილსი (12), რ. ფლაუერსი (49), ნ. ჰანტერი (4), ბ. მური (39), მ. პიტერსი (2), ჯ. ჩარლტონი (14); თავდასხმა: ა. ბოლი (8), რ. ჰანტი (12), ჯ. ისტჰემი (18), ჯ. ჰერსტი (4), ტ. პეინი (1), ჯ. კალაჰანი (1), ჯ. კონელი (18), ჯ. გრივსი (49), ბ. ჩარლტონი (67).

მძლეოსნობა — ფრენბურთი

## საიუბილეო სპარტაკიადებს — ღირსეული შეხვედრა!

### ქლენტების უპირატესობით

თბილისის „მონკავშირის" სტენდზე გაიმართა საქართველოს ახალგაზრდა მესტენდურეთა პირად-გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც სრული გუნდი მხოლოდ თბილისმა გამოიყვანა. ქუთაისელებს ადგილიდან სროლაში ჰყავდათ სამკაციანი კოლექტივი, ხოლო ზუგდიდელებს — მრგვალ სტენდზე. ცეცხლის ხაზზე არ გამოჩენილან აფხაზეთის, აჭარის, მახარაძისა და სხვათა სპორტსმენები. ცუდი ნიშანია!

ადგილიდან სროლაში პირველსავე სერიაში დაწინაურდნენ თბილისელები ა. ბუკია და ა. გრიგორიადი, რომლებმაც 25-დან მხოლოდ 2-2 სამიზნეს ააცდინეს. მათ 2 ქულით ჩამორჩა ქუთაისელი კ. ქლენტი. მეორე სერიაში ქლენტს ერთი სამიზნე გადაურჩა დაუმსხვრეველი, მის ძირითად მეტოქეებს კი 3-3 „გაექცათ" და 50 გასროლის შემდეგ მეტოქეთა შანსები გათანაბრდა. მესამე 25 სამიზნეზე სროლაში ბუკიამ და ქლენტმა 23-23 თეფში გატეხეს. ამიტომ გამარჯვებულის საკითხი ბოლო სერიას უნდა გადაეწყვიტა. აქ ქლენტმა 21 სამიზნე დაამსხვრია, ბუკიამ კი — 20. ამრიგად, გაიმარჯვა ქუთაისელმა სპორტის ოსტატმა კ. ქლენტმა — 89 ქულა, II იყო ბუკია — 88, III — გრიგორიადი — 87.

მრგვალ სტენდზე სროლაში გამარჯვების მთავარ პრეტენდენტებად აღიარებდნენ სპორტის ოსტატს ტ. ქლენტსა და ოსტატობის კანდიდატს ნ. გოცირიძეს (ორივენი — თბილისი). 50 გასროლის შემდეგ ქლენტმა 48 ქულა მოაგროვა, გოცირიძემ — 46. მესამე სერიაში ქლენტმა უშეცდომოდ ისროლა, მისი მეტოქე კი კიდევ 3 ქულით ჩამორჩა. საბოლოოდ, გაიმარჯვა ოსტატმა. მან 96 ქულა მოაგროვა, რაც 4 ქულით აღემატება გოცირიძის მაჩვენებელს. III ადგილი დაიკავა თბილისელმა მეორეთანრიგოსანმა, 17 წლის მ. მატოიანმა, რომელმაც უკვე 2 სერიის ჯამში 45 სამიზნე დაამსხვრია და პირველად შეასრულა I თანრიგის ნორმატივი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისის კოლექტივმა. II ადგილზე არიან ქუთაისის, ხოლო III — ზუგდიდის მესტენდურეები.

შედგა საქართველოს ნაკრები, რომელიც 9-11 ივლისს კაუნასში საკავშირო პირველობაში მიიღებს მონაწილეობას.

**ჯ. მოჩონელიძე,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

### ცეცხლის ხაზზე — ახალგაზრდები

ივლისის მეორე ნახევარში მოსკოვს გაიმართება ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა სპორტსმენთა საკავშირო პირველობა ტყვიის სროლაში. დედაქალაქში საასპარეზოდ გასაგზავნი ჩვენი გუნდის დასაკომპლექტებლად ავჭალის სასროლეთზე რესპუბლიკური შეჯიბრება გაემართეთ. ცეცხლის ხაზზე გამოვიდნენ თბილისის, აფხაზეთისა და ქუთაისის გუნდები. სამწუხაროდ, ასპარეზობას თავი აარიდეს აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ფოთის, გორისა და რუსთავის კოლექტივებმა, რაც იმის ნათელი ილუსტრაცია გახლავთ, თუ რარიგად ემზადებიან ეს ორგანიზაციები მომავალი რესპუბლიკური სპარტაკიადისთვის.

შეჯიბრების პროგრამაში იყო: უმცროსი ასაკის სპორტსმენებისთვის — მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლა, უფროსი ასაკისთვის — მცირეკალიბრიანი შაშხანით და პისტოლეტით სროლა.

სამდღიანი ტურნირის შედეგად გუნდური ჩათვლა თბილისელებმა მოიგეს. II ადგილზე გავიდა ქუთაისის კოლექტივი.

პირად პირველობაში საპრიზო ადგილები მოიპოვეს: უმცროსი ასაკის სპორტსმენთა შორის — მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე ($3 \times 20$) სროლაში — ვ. მარუთიანმა (თბილისი) — 507 ქულა. ასეთივე შედეგი ჰქონდა ა. ბეჟვაიას (აფხაზეთი). თბილისელმა ვ. კინწურაშვილმა 503 ქულა მოაგროვა. მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე წოლელა სროლაში I და II ადგილები ისევ მარუთიანმა (288) და ბეჟვაიამ (284) მოიპოვეს. აქ III იყო თბილისელი რ. კაკიტელაშვილი — 282.

უფროს ასაკში მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე სროლა ქუთაისელთა უპირატესობით წარიმართა. I და II ადგილები დაიკავეს ამ კოლექტივის წევრებმა ტ. კვანტალიანმა (267 ქულა) და ტ. [illegible]ძემ (254). III [illegible] ადგილზე [illegible] ა. ნაზაროვი (თბილისი) — 252. პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე და სილუეტებზე სროლა მოიგო თბილისელმა მ. გორდეზიანმა — 558. ასეთივე შედეგით II ადგილზე დარჩა ხ. იურიევი (აფხაზეთი). ნაზაროვი აქაც III იყო — 553.

მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლაში თბილისელმა ი. შპაჩენკომ 300-დან 291 ქულა მოაგროვა. ვ. იაკიმენკომ (აფხაზეთი) კი — 289. თბილისელი ო. კაკაურიძის შედეგია 287 ქულა.

მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე ($3 \times 20$) სროლაში პირველობის ბედი „ათიანების" სიმრავლემ გადაწყვიტა: იაკიმენკომ და ხ. მალიუტინმა (თბილისი) 823 ქულა მოაგროვა თვითეულმა, გამარჯვება კი იაკიმენკოს მიეკუთვნა. თბილისელი ი. ბარსუკოვი მათ 8 ქულით ჩამორჩა.

ტურნირმა დაგვანახვა, რომ, გამარჯვებულთა გარდა, შეჯიბრების მონაწილენი სუსტად იყვნენ მომზადებული, რაც გუნდების წინაშე უაღრესად სერიოზულ ამოცანებს სახავს.

**ა. ბაქრაძე,**
საქართველოს მთავარი მწვრთნელი ტყვიის სროლაში.

# ფინალის საგზურებით

**თავისუფალი** სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატი წლეულსაც ორ ეტაპად ჩატარდება: ზონალური შეჯიბრებებითა და ფინალით. ოქროს მედლების მფლობელთა ვინაობა მხოლოდ ოქტომბერში გაირკვევა, დღეს კი ცნობილი გახდა იმათი გვარები, ვინც ამ საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა.

30 ივნისს ჩვენი ქვეყნის ხუთ ქალაქში — თევსკში, ნიკოპოლში, კაუნასში, ყარაგანდასა და მახაჩყალაში დამთავრდა ჩემპიონატის I ეტაპი — ზონალური ტურნირები.

ვაქვეყნებთ მახაჩყალის ზონის პრიზიორთა სიას, რომლებმაც მიიღეს ფინალის საგზურები (გადამწყვეტ ეტაპში საჭიდაოდ დაიშვებიან ზონებში პირველ სამ ადგილზე გასული ათლეტები).

შეჯიბრებაში მონაწილეობდა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, მოსკოვისა და რუსეთის ფედერაციის 95 სპორტსმენი. ჩვენი რესპუბლიკიდან ჭიდაობდა 10 ათლეტი, ამათგან 5 ჩემპიონატის ფინალში გავიდა.

აი, პრიზიორთა სამეულებიც:

**უმჩატესი წონა.** 1. შემახოვი, 2. გაჯიევი (ორივენი — მახაჩყალა), 3. სალნიკოვი (თბილისი).

**მჩატე.** 1. პოლოხიანი (მახაჩყალა), 2. მიშიევი (ბაქო), 3. გოგიჩაიშვილი (ბათუმი).

**ქვემსუბუქი.** 1. ნასროლაევი, 2. აბდულბეკოვი (ორივენი — მახაჩყალა), 3. სარქისიანი (ერევანი).

**მსუბუქი.** 1. მუსაევი, 2. გაჯიევი (ორივენი — მახაჩყალა), 3. კოხა (ტალინი).

**ქვესაშუალო.** 1. ფასურიშვილი (თბილისი), 2. ბესლიაკოვი (ორჯონიკიძე), 3. ქავთარიშვილი (თბილისი).

**საშუალო.** 1. ვაგამოვი (მახაჩყალა), 2. ნოზდრაჩოვი (სტავროპოლი), 3. აგაევი (მახაჩყალა).

**ქვემძიმე.** 1. ბარუკაევი (ტამბოვი), 2. ტიგრანიანი (ერევანი), 3. მაჩიტაძე (ბაქო).

**მძიმე.** 1. ძუცევი (ორჯონიკიძე), 2. იამაჩუევი (მახაჩყალა), 3. ფრანგიშვილი (თბილისი).

როგორც ხედავთ, საპრიზო ადგილების მეტი წილი მასპინძლებს დარჩათ. ეს გასაგებიცაა, რადგან მახაჩყალის ხალიჩაზე ადგილობრივ ათლეტთა სარეკორდო რაოდენობა გამოდიოდა და, ბუნებრივია, ამ „საცერის" გავლა არც ისე იოლი გახლდათ. და მაინც, ფინალისტთა რიცხვში მოხვედრის რეალური შანსი ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ორ წარმომადგენელს ჰქონდა. მხედველობაში გვყავს საშუალო წონის ათლეტი პაპაშვილი და გორელი ქარქიშვილი (მსუბუქი წონა).

ქარქიშვილმა, მაგალითად, თავის თავს გამოსდო ყვანტი. უკვე კარგა ხანია, რაც ქარქიშვილისგან დასრულებულ ოსტატობას და მაღალ შედეგებს მოველით. მონაცემებითა და უნარით იგი წლეულს უდავოდ ფინალისტებში უნდა მოხვედრილიყო, მაგრამ საჭიდაოდ აშკარად მოუმზადებელი წარსდგა. ამ გარემოებას გორის ჭიდაობის მესვეურებმა ყურადღება უნდა მიაქციონ: დროა, ქარქიშვილი „დიდ ხალიჩაზე" ვიხილოთ.



**საქართველოს** მძლეოსან ქალთა ნაკრებ გუნდში ერთ-ერთ საიმედო ძალას წარმოადგენს გალინა კონონენკო, რომელიც მუდამ მზადაა იქ გამოადგეს კოლექტივს, სადაც ყველაზე მეტად ჭირს. გალინა მრავალჭიდელია და ხტომაში, თარჯრბენსა და სპრინტში მუდამ წარმატებით შეუძლია იასპარეზოს.

ასე იყო ამას წინათ ვილნიუსში გამართულ ლიტვისა და საქართველოს დედაქალაქების ათლეტთა მატჩშიც. ტურნირში მონაწილეობისთვის კონონენკო ვილნიუსში წინდღით ჩამოვიდა, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია მეორე დღეს ძნელ ბრძოლაში მასპინძელთა გუნდის წევრი ნ. ბერნოტაიტე დაემარცხებინა. გალინა სიგრძეზე 573 სანტიმეტრზე გადახტა.

ს უ რ ა თ ზ ე: გ. კონონენკო.
ფოტო ო. გელაშვილისა.

### „განთიადმა" იმარჯვა

თბილისში რესპუბლიკის სპორტკავშირის აუზში ამას წინათ ჩატარდა წყალბურთელთა საქალაქო ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდნენ „ლოკომოტივის", „განთიადის", პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და განათლების განყოფილების გუნდები.

წარმატებით იასპარეზეს განთიადელებმა, რომლებმაც ერთნაირი ანგარიშით — 5:4 — დაამარცხეს „ლოკომოტივისა" და განათლების განყოფილების სპორტსმენები და ფრედ (4:4) ითამაშეს ინსტიტუტელებთან. ამრიგად, ქალაქის ჩემპიონი გახდა „განთიადის" გუნდი (მწვრთნელი კ. იოგანი). II ადგილზეა „ლოკომოტივი", III — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი.

მიუხედავად სამივე მატჩის წაგებისა, ქების ღირსნი არიან განათლების განყოფილების წყალბურთელები, რომლებიც მონდომებით ებრძოდნენ უფროსებს. აღსანიშნავია, რომ მოსწავლე წყალბურთელთა უმრავლესობა ერთობლივ წვრთნას გადიოდა თბილისის „დინამოს" ოსტატებთან, რამაც სათანადო ნაყოფი გამოიღო: შესამჩნევად ამაღლდა ნორჩთა თამაშის ტექნიკა და ტაქტიკა.

**ზ. კიკნაძე.**

### 18 საამქროს ფიზკულტურელები

18 საამქროს გუნდები იბრძოდნენ რუსთავის ქიმიური კომბინატის სპარტაკიადაში გამარჯვებისთვის. ასპარეზობის პროგრამაში იყო ფრენბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა, ჭადრაკი და ტყვიის სროლა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი მოიპოვა ქანგბადის საამქროს ნაკრებმა, რომლის წარმომადგენლებმა ყველას აჯობეს ფრენბურთში, ჭადრაკში, მძლეოსნობასა და ტყვიის სროლაში.

II ადგილზე გავიდა საკონტროლო-საზომ ხელსაწყოთა და ავტომატიკის საამქროს გუნდი. აქაურმა სპორტსმენებმა პირველობა არავის დაუთმეს მაგიდის ჩოგბურთსა და კალათბურთში.

III ადგილი წილად ხვდა ელექტროსაამქროს გუნდს.

**რ. მაზმიშვილი.**
**(ჩვენი კორ.).**

რუსთავი.



### ტრადიცია დაირღვა

აფხაზეთის დედაქალაქში ხუთ დღეს გრძელდებოდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი საზღვაო მრავალჭიდში. შეჯიბრებაში მხოლოდ თბილისის, აფხაზეთისა და აჭარის კოლექტივები მონაწილეობდნენ.

თავდაპირველად დაწინაურდნენ აჭარის სპორტსმენები. მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში გაიმარჯვა ამ გუნდის წევრმა კ. ზავადსკიმ, რომელმაც 100-დან 91 ქულა მოაგროვა. 1.500 მეტრზე მძლეოსნურ კროსში კარგი ფიზიკური მომზადება გამოავლინეს თბილისელმა მრავალჭიდელებმა. პირად ჩათვლაში ყველას ბ. მნაცაკანოვმა აჯობა.

სოხუმის ყურეში გამართული საიალქნო რბოლები 3 მილზე 5 ცდის ჯამში აფხაზეთის კოლექტივმა (მესაჭე ა. ახუბა) მოიგო. მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა 2 კილომეტრზე ნიჩბოსნობაც. რის შემდეგ 4 სახეობის ჯამში ისინი მეტოქეებს 1.000 ქულით უსწრებდნენ. მაგრამ დასკვნით სახეობაში — ცურვაში თბილისელებმა ისახელეს თავი და საერთო გამარჯვებაც დაისაკუთრეს ეს იყო საქართველოს დედაქალაქის სპორტსმენთა პირველი წარმატება, — რესპუბლიკის შვიდგზის ჩემპიონი — აფხაზეთის გუნდი II ადგილით დაკმაყოფილდა.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: აფრიანი ნავებით შეჯიბრების მომენტი.

ფოტო და ტექსტი ვ. ხემიონოვისა.

## მეორე ნაკრები I ადგილზე

თბილისში რამდენიმე დღე გაგრძელდა საქართველოს ფრენბურთელთა ჩემპიონატი. ტურნირში რესპუბლიკის ქალთა და ვაჟთა 8-8 უძლიერესი გუნდი თამაშობდა.

ვაჟთა შეჯიბრების სენსაცია გახლდათ, რომ უძლიერესის წოდება თბილისის II ნაკრებმა გაინაღდა. პირველობის ფავორიტი — დედაქალაქის I გუნდი, ე. წ. დუბლიორებმა დაამარცხეს, თანაც დამაჯერებელი ანგარიშით — 3:1. ფავორიტი II ადგილს დასჯერდა. III ადგილი ცხინვალელებმა მოიპოვეს. ისინი კარგა ხნის „შესვენების" შემდეგ გამოჩნდნენ რესპუბლიკურ ასპარეზობაში. ფინალური ოთხეული სოხუმის გუნდმა „ჩაკეტა". აღსანიშნავია, რომ ზღვისპირელმა ფრენბურთელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს თბილისის ორსავე ნაკრებს და ორივესთან მხოლოდ მე-5 პარტიაში დაყარეს ფარ-ხმალი.

ტურნირში მონაწილეობდა თბილისის განათლების განყოფილების გუნდიც, რომელმაც VI ადგილი დაიკავა. ამ კოლექტივს მალე სერიოზული გამოცდა — მოსწავლეთა საკავშირო პირველობა მოელის. საქართველოს ნაკრები ძირითადად თბილისელებით იქნება დაკომპლექტებული. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებმა დაამარცხეს ბათუმელი და ქუთაისელი ფრენბურთელები. გუნდის მწვრთნელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა შ. მარგიშვილმა განაცხადა, რომ რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრებში, თბილისელთა გარდა, ითამაშებენ პერსპექტიული სპორტსმენები: გ. ორჯონიკიძე (სოხუმი), ვ. გაბარაევი (ცხინვალი) და ვ. ტულუში (ტყიბული).

დედაქალაქის ქალთა I გუნდი საგრძნობლად ჯობდა ყველას, ამიტომ მან იოლი გამარჯვებები მოიპოვა. II ადგილზე გავიდა თბილისის II ნაკრები, ხოლო III — სოხუმის გუნდი. IV ადგილზე არიან ქუთაისელები. თბილისის განათლების განყოფილების წარმომადგენლებმა V ადგილი დაიკავეს.

ტურნირმა ორგანიზებულად ჩაიარა. შეჯიბრებამ დაგვანახა, რომ რესპუბლიკის ფრენბურთელმა ვაჟებმა ერთგვარად აიმაღლეს თამაშის კლასი, ქალთა გუნდები კი ჯერ კიდევ ძალიან სუსტად თამაშობენ.

**ვ. კალმახელიძე.**

**ჭადრაკი — ჭადრაკი**

**სათავეშია 3 დიდოსტატი**

**ბილიკზე არიან კეინო და მაი**

**როგორც გასული მსოფლიო ჩემპიონატის წინ**

**კიდევ ერთი...**

● სოჭი, 2 ივლისი. ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირის IX ტურის შემდეგ შეჯიბრებას 3 დიდოსტატი ჩაუდგა სათავეში. ესენი არიან კროგიუსი, კორჩნოი და პოლუგაევსკი. კორჩნოიმ გადადებული პარტიის დამთავრებისას დაამარცხა სპასკი, ხოლო IX ტურში სძლია ორტეგას (კუბა). პოლუგაევსკიმ მოუგო მატულოვიჩს (იუგოსლავია), ხერგიევსკიმ — ბობოცოვს (ბულგარეთი), სპასკიმ — ბერტოკს (იუგოსლავია), ვლადიმიროვმა — ფუქსს (გდრ), ანტოშინმა — ბარცას (უნგრეთი), ზახაროვმა — ბრადვარევიჩს (იუგოსლავია). კროგიუს—ლეინის პარტია ყაიმით დამთავრდა. IX ტურის შემდეგ კროგიუსს, კორჩნოისა და პოლუგაევსკის 6,5-6,5 ქულა აქვთ. მათ 1 ქულით ჩამორჩებიან სპასკი, მატულოვიჩი, ზახაროვი და ლეინი. ანტოშინსა და ხერგიევსკის 5-5 ქულა აქვთ 8-დან, ხოლო ვლადიმიროვს — 5 ქულა 9-დან.

● ნაირობი, 2 ივლისი. კენიის მძლეოსანთა ლია პირველობაში მონაწილეობდა სტუმარი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან — მსოფლიო რეკორდსმენი იურგენ მაი. 1 მილზე რბენაში მან III ადგილი დაიკავა — 4.12,1. გაიმარჯვა მსოფლიოს მეორე რეკორდსმენმა, მასპინძელმა კიპჩონგ კეინომ, რომელმაც ახალი ეროვნული რეკორდი დაამყარა — 4.00,9. ი. მაი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თავის გამოსვლებს ნაირობში, ვინაიდან იგი ძალზე წაავავს მომავალი ოლიმპიადის ქალაქ მეხიკოს მაღალმთიან პირობებს.

● ოსლო, 2 ივლისი. ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა, ინგლისელები კი თავიანთი ფედერაციის პრეზიდენტის გარეშე დარჩნენ. ჯო მირსი ინგლისის ეროვნულ ნაკრებს გაჰყვა სკანდინავიის ტურნეში და აქ, ოსლოში, 61 წლის ასაკში გარდაიცვალა გულის შეტევით. ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ამავე დროს ცნობილი პროფესიული კლუბის „ჩელსის" ხელმძღვანელიც იყო. უნებურად გახსენდება, რომ ასეთივე შემთხვევა მოხდა გასული მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინაც. მაშინ გარდაიცვალა ჩილის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი კარლოს დიტბორნი.

● ლონდონი, 2 ივლისი. ესპანელ სანტანას შემდეგ უიმბლდონის ტურნირმა კიდევ ერთი ჩემპიონი „დაასახელა". ქალთა ერთეულების თანრიგში გაიმარჯვა ამერიკელმა ბილი ჯინ კინგმა (მოფიტმა), რომელმაც ფინალში დაამარცხა უიმბლდონის სამგზის ჩემპიონი მ. ბუენო (ბრაზილია) — 6:3, 3:6, 6:1.

# აქა ამბავი ომარ ფხაკაძისა, ოდეს „ამსტერდამის დიდი პრიზი" მოიგო



მეგობრული შარჟი

ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მცინარი წყლისა პირსა,
ველოსიპედი ვერცხლისა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი და მედლები გულისპირსა,
„ქართულ ელვას" უწოდებდნენ, გაელვებას ფხაკაძისა.

ტანს მაისური ემოსა, ხელთათმანები ტყავისა,
სპრინტერისავე ქუდივე იყო სარქმელი თავისა —
ხელთ „დიდი პრიზი" ეპყრა უსხოსი თავის მკლავისა,
შემოკრბნენ ასპარეზობად სტუმრები ამსტერდამისა*).

შიგან ახრე გაერივა, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,
ყველა უკან მოიტოვა, მოწყდა, როგორც მეტეორი,
შემოსტყორცა ერთმანეთსა ჯონსონი და მორელონი,
„დიდი პრიზით" დაგვიბრუნდა კვლავ მსოფლიო ჩემპიონი!

ტექსტი და ნახატი ქართლოს კასრაძისა.

*) ამსტერდამი ველოსიპედების ქალაქია, ქუთაისს ჰგავს. ავტორი.

ფეხბურთი

**ჭადრაკი ბათუმის საერთაშორისო ტურნირი**

# ბრძოლა ყაიმებს!

ბრძოლის წინა ხაზზე ახალგაზრდობაა. მას არ უყვარს „მშვიდობიანი ცხოვრება". სწორედ ამან განაპირობა ყაიმების სიმცირე.

— ყაიმი მეჯავრება. რა ჯობს მეტოქისთვის შამათის გამოცხადებას! — ამბობს მსოფლიოს ჭაბუკთა ჩემპიონი, იუგოსლაველი ბ. კურაიცა.

— ყველას მოგებაზე ვეთამაშები. ჩემთან ყაიმი არავის აძლევა ხელს, — გამოტეხილად მითხრა 15 წლის ე. უბილავამ, რომელიც მხოლოდ იგებს ან აგებს...

უფრო გამოცდილი ოსტატებიც გაურბიან ყაიმს. მაგალითად, ბ. გურგენიძე ყოველ პარტიაში დაუღალავად ეძებს თამაშის გამწვავების გზებს.

ყაიმების საწინააღმდეგო ტენდენცია თავს იჩენს დებიუტების არჩევისას: ყველა ორიგინალურად თამაშობს ცნობილ დაწყებებს.

პირველ ნახევარში ყველა გაიტაცა 18 წლის ბ. კურაიცასა და მასპინძლების—ბ. გურგენიძისა და რ. ჯინჯიხაშვილის პაექრობამ ერთპიროვნული ლიდერობისთვის. ამ ჭიდილში გამოჩნდა სამივე მოჭადრაკის ბუნება, ნებისყოფა და ერუდიცია.

არ შემიძლია ქებით არ აღვნიშნო ბ. კურაიცა და ბ. გურგენიძე. იუგოსლაველი ჭაბუკი დიდი ოპტიმისტია. მას მუდამ ბრძოლა სწყურია. ამიტომაც სტარტზე ზედიზედ 6 პარტია მოიგო, თუმცა ბოლო ორ ტურში... ორჯერ იწვნია მარცხის სიმწარე.

— ვისაც აქ ვეთამაშე, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე გურგენიძემ მოახდინა. ო, იგი ძლიერი მოჭადრაკეა! — თქვა კურაიცამ ჩვენს ოსტატთან თამაშის შემდეგ.

მართლაც, ბ. გურგენიძე ძალზე ღრმად და შემოქმედებითად თამაშობს. მის პარტიებში გვხიბლავს მკაცრი ლოგიკა, სისადავე და მოვლენათა ბუნებრიობა. ქართველ მოჭადრაკეს კიდევ 2,5 ქულა ესაჭიროება საერთაშორისო ოსტატის კიდევ 1 ქულის მოსახვეჭად.

რ. ჯინჯიხაშვილი განწყობის მოჭადრაკეა, რამაც ტურნირის პირველ ნახევარშიც იჩინა თავი. კურაიცასთან პრინციპული პარტიის წაგების შემდეგ (უნდა კი მოეგო!) იგი ხევდამ შეიპყრო — აღარც ზღვაზე ჩანდა, აღარც ზღვისპირა ხეივანში. სევდამ შეიპყრო და მომდევნო ორ შეხვედრაში მხოლოდ 0,5 ქულა მოაგროვა.

კარგად თამაშობს ა. ბუსლაევი. იგი დიდი მონდომებით იბრძვის ყველა პარტიაში.

თუ თბილისელი ჭაბუკი ე. უბილავა მაქსიმალურად იყენებს გამოცდილ ოსტატებთან თამაშის შესაძლებლობას, ეს არ ითქმის თ. გიორგაძეზე. თამაში ზედმეტად განიცდის წაგებას. ახლა, როცა სატურნირო ცხრილში მისი გვარის გასწვრივ ნულებმა იმრავლა, იგი როგორღაც მოეშვა.

სტუმართაგან ყველა როდი თამაშობს ისე, როგორც მათს ნიჭსა და გამოცდილებას შეეფერება. ვერც მ. უიტელკიმ, ვერც დ. მინიჩმა და ვერც დ. ველიმიროვიჩმა ალღო ვერ აუღეს ტურნირს. ცალკეულ პარტიებში მაინც გაიელვებს ხოლმე მათი ჭეშმარიტი ძალა.

მხოლოდ ვ. იანსა თამაშობს ისე, როგორც მისი კლასის ოსტატს მოეთხოვება.

ტურნირმა გადალახა „ეკვატორი". წინაა ფინიში. არ შევუდგებით პროგნოზებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, პირველი ადგილის ბედის საკითხი უნდა გადაწყდეს კურაიცასა და გურგენიძეს შორის.

**თ. გიორგაძე,**
ტურნირის მთავარი არბიტრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# ლოგიკა იმარჯვებს

მდიდარი, მეტისმეტად საინტერესო შემოქმედებითი ბრძოლით ხასიათდება ბათუმის საერთაშორისო ტურნირი. ბევრი პარტია აღსავსეა ჭეშმარიტი ბრძოლით, მოხდენილი კომბინაციით, ღრმა ჩანაფიქრით. შეჯიბრებამ თეორეტიკოსებსაც გაუჩინა საფიქრალი...

მოგვყავს ერთ-ერთი პარტია, რომელმაც საერთო მოწონება დაიმსახურა. ესაა ბ. გურგენიძე — დ. მინიჩის პარტია. იგი ნათლად დაამშვენებს ქართველი ოსტატის შემოქმედებას. იუგოსლაველი ძალიან ზუსტად თამაშობდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო თეთრების ლოგიკური გეგმის წინააღმდეგ. აი, ეს პარტია:

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 მf6 3. მc3 d6 4. კb5+ კd7 5. კ:d7+ ლ:d7 6. 0—0 მc6 7. a3 g6 8. ეb1 კg7 9. b4 b6 10. d3 0—0 11. b5 მd4 12. მ:d4 cd 13. მe2 d5 14. მ:d4.

ღრმა გეგმის შესავალი. გურგენიძე მიისწრაფვის ენდშპილისკენ, რომელშიც მას ლაზიერის ფრთაზე 3 პაიკი ექნება ორის წინააღმდეგ.

14. ... dc 15. მc6 ed 16. ლ:d3 ეfe8 17. ლf3 ლd5 18. ეd1 ლ:f3 19. gf (გურგენიძემ შეგნებულად დაუშვა f3-ზე ლაზიერების გაცვლა. გაორებული პაიკები ხელს უშლის შავების ინიციატივას მეფის ფრთაზე. თეთრები თითქმის ფორსირებულად იგებენ) 19. ... e5 20. a4 e4 21. f4 კf8 22. a5 კc5 23. კe3 კ:e3 24. bc g5 25. fg მg4 26. ეd7 მ:e3 27. ე:a7 ე:a7 28. მ:a7 მ:e2 29. a6 e3 30. მc6 e2 31. b7 e1ლ+ 32. ე:e1 მ:e1 33. მe7+ მეg7 34. მc8 შავები დანებდნენ.

(ჩვენი სპეც. კორ.).



სურათზე: ბ. გურგენიძე (მარცხნივ) და მ. უიტელკი თამაშის დროს.
ფოტო ა. ჩანტლაძისა.

ფეხბურთი

**ჩემპიონატი IV ზონა**

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 3 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 14 | 10 | 2 | 2 | 13—6 | 22 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 15 | 8 | 4 | 3 | 26—14 | 20 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 15 | 6 | 7 | 2 | 13—9 | 19 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 15 | 7 | 4 | 4 | 16—10 | 18 |
| „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) | 13 | 6 | 5 | 2 | 11—6 | 17 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 16 | 5 | 7 | 4 | 20—20 | 17 |
| „მაშინოსტროიტ." (პიატიგორ.) | 14 | 6 | 4 | 4 | 26—17 | 16 |
| „კოლხიდა" (ფოთი) | 14 | 6 | 4 | 4 | 14—8 | 16 |
| „უროჟაი" (კრიმსკი) | 14 | 8 | 0 | 6 | 20—16 | 16 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 15 | 6 | 3 | 6 | 26—14 | 15 |
| „დინამო" (სოხუმი) | 14 | 5 | 4 | 5 | 16—13 | 14 |
| „უროჟაი" (მაიკოპი) | 14 | 5 | 4 | 5 | 16—15 | 14 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 14 | 5 | 3 | 6 | 15—16 | 13 |
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 15 | 4 | 5 | 6 | 16—19 | 13 |
| „დილა" (გორი) | 15 | 4 | 5 | 6 | 12—17 | 13 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 15 | 4 | 3 | 8 | 13—17 | 11 |
| „ურალანი" (ელისტა) | 14 | 2 | 6 | 6 | 9—22 | 10 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 14 | 3 | 3 | 8 | 13—23 | 9 |
| „არაქსი" (ერევანი) | 14 | 2 | 4 | 8 | 8—21 | 8 |
| „უროჟაი" (დერბენტი) | 14 | 2 | 3 | 9 | 11—35 | 7 |



30 ივნისს რუსთავში გამართული მატჩის მომენტი. „მეტალურგმა" პირველი გოლი გაიტანა გურჯაანის „ალაზნის" კარში.
ფოტო რ. გაბრიჭიძისა.

# კოლექტივში წესრიგის დასამყარებლად

გორის სპორტულმა საზოგადოებრიობამ წლეულს კარგი საჩუქარი მიიღო: აქაური ფეხბურთელთა გუნდი „დილა", რომელიც ადრე რესპუბლიკის ჩემპიონატში გამოდიოდა, ჩაირიცხა „ბ" კლასის ოსტატთა ოჯახში.

დიდ სარბიელზე გამოსვლა საგანგებო მნიშვნელობის ამოცანებს სახავდა საერთოდ გორის სპორტულ ორგანიზაციათა წინაშე და, კერძოდ, იმ ფეხბურთელთა მიმართ, რომელთაც წარმატებით უნდა დაეცვათ თავიანთი ქალაქის ღირსება დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში.

გუნდის საერთო წარმატებებზე ლაპარაკი ადრეა, ვინაიდან იგი დიდ ასპარეზზე მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს, მაგრამ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ზოგიერთმა გორელმა ფეხბურთელმა, მთელი თავისი ძალების მობილიზების ნაცვლად, უხეშობას და უწესრიგობას მიჰყო ხელი.

„ლელოს" მკითხველებმა უკვე იციან, რომ „დილის" ფეხბურთელებმა ყოვლად უხამსი საქციელი ჩაიდინეს რუსთავში, ადგილობრივ „მეტალურგთან" თამაშისას. მათ არ მისცეს საშუალება მასპინძლებს დაერტყათ 11-მეტრიანი საჯარიმო. ბოლოს, როცა კარგა ხნის პოლემიკის შემდეგ თამაში გაგრძელდა, „დილის" მოთამაშემ ბ. გაბუნიამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს(!).

ეს არ იყო ერთეული გამოხდომა გორელთა კოლექტივში. იგივე გაბუნია, აგრეთვე, ტყემალაძე, მერაბიშვილი, ჰუსეინოვი და სხვანი შემჩნეული იყვნენ დისციპლინისა და რეჟიმის სისტემატურ დარღვევაში. მაგალითად, 12 ივნისს „დილა" თამაშობდა პიატიგორსკში. ზემოჩამოთვლილი ოთხეული სასტუმროში ნასვამი მივიდა გვიან ღამით. ტყემალაძე, გარდა ამისა, შემჩნეული იყო სხვა უმსგავსობაშიც. კერძოდ, მან უდიერი სიტყვებით მიმართა საკუთარი გუნდის მწვრთნელს.

აღსანიშნავია ისიც, რომ გუნდში არიან მოთამაშეები, რომელთა სპორტული დონე ვერ აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნებს, არიან ასაკგადაცილებული ფეხბურთელებიც. ამიტომაა, რომ „დილა" ჯერჯერობით თავის უნარზე ნაკლებად თამაშობს. გუნდის მწვრთნელებმა ლ. ლოლაძემ და გ. ჭუმბურიძემ დღემდე ვერ შეძლეს კოლექტივში სათანადო წესრიგის დამყარება.

გორის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ხელმძღვანელობამ იმსჯელა გუნდში შექმნილ მდგომარეობაზე და გამოიტანა სათანადო დადგენილება.

სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით გამოეცხადა ბ. გაბუნიას და პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცა სეზონის ბოლომდე. გუნდის კაპიტნობიდან გადარჩეულია გ. გაბელაია, რომელიც ზერელედ ეკიდებოდა თავის მოვალეობას.

საყვედური გამოეცხადა ჰუსეინოვს, განთავისუფლდნენ კოლექტივიდან რ. ტყემალაძე და გ. მერაბიშვილი, ამასთან, ტყემალაძე დისკვალიფიცირებულია 1 წლით. კოლექტივიდან დაითხოვეს უპერსპექტივო ფეხბურთელები ხაჭაპურიძე, პარასკევაშვილი, ხვადაგიძე.

სასტიკი საყვედური გამოეცხადათ გუნდის მწვრთნელებს ლ. ლოლაძეს და გ. ჭუმბურიძეს. მათ მიეცათ კატეგორიული მითითება უახლოეს ხანში აღმოფხვრან როგორც სასწავლო-საწვრთნელ, ისე პოლიტმასობრივ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გატარებაზე კონტროლი დაევალა ქალაქის ფეხბურთის სექციის თავმჯდომარეს დ. თავზარაშვილს.

ფეხბურთი • ფეხბურთი • ფეხბურთი

# იმედის რბოლა

ინტერვიუ

გუშინ, საფრანგეთის გზებზე სტარტი აიღო მოყვარულ ველოსიპედისტთა ტრადიციულმა საერთაშორისო მრავალდღიანმა რბოლამ „ტურ დე ლ'ავენირმა“ (იმედის რბოლა). შეჯიბრებაში მონაწილეობს სსრ კავშირის ნაკრებიც, რომელიც ამ საპასუხისმგებლო ტურნირისთვის ხანგრძლივად ემზადებოდა გაგრაში. ჩვენი ქვეყნის ნაკრებს „ტურ დე ლ'ავენირისთვის“ წვრთნიდნენ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ლ. შელეშნიოვი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ა. გუნია. ვბეჭდავთ ინტერვიუს ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელთან, სპორტის ოსტატ ა. გუნიასთან.

● **როგორი მასშტაბის შეჯიბრებაა „ტურ დე ლ'ავენირი“?**

— სამოყვარულო ველოსპორტში მას თითქმის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც „მშვიდობის ველორბოლას“ და მსოფლიო პირველობას.

● **მერამდენედ გამოდიან საბჭოთა ველოსიპედისტები „ტურ დე ლ'ავენირში“?**

— მეორედ. ჩვენი დებიუტი, 1963 წელს, უხეირო გამოდგა. მართალია, საბჭოთა ნაკრები პირველ ეტაპებზე ლიდერობდა, მაგრამ შემდგომში საგრძნობლად გააუარესა შედეგები და საბოლოო ჯამში მხოლოდ VI გუნდური ადგილი დაისაკუთრა.

● **რით უნდა აიხსნას ჩვენი ბიჭების ესოდენ ცუდი დებიუტი?**

— ეს შეჯიბრება ჩვენთვის ახალი ხილი იყო — მას თითქმის არ ვიცნობდით. საბჭოთა ნაკრების მწვრთნელები დაახლოებით „მშვიდობის ველორბოლის“ მსგავს ატმოსფეროს ელოდნენ, მაგრამ „ლ'ავენირი“ მისგან საკმაოდ განსხვავებული გამოდგა. ეს ჩვენთვის დიდი მოულოდნელობა იყო.

● **რაში მდგომარეობდა ეს განსხვავება?**

— „ლ'ავენირს“, „მშვიდობის ველორბოლის“ საწინააღმდეგოდ, შეიძლება სამთო რბოლა ვუწოდოთ, ვინაიდან ტრასის დიდი ნაწილი საფრანგეთის მთაგორიან ადგილებში გადის. სწორედ ამიტომ ჩავატარეთ წლევანდელი საწვრთნელი შეკრება საქართველოს მთიან რაიონში.

● **როგორ აითვისეს ჩვენი ნაკრების წევრებმა სამთო ეტაპთა სიძნელეები?**

— საკმაოდ კარგად. ვარჯიშის პირველ დღეებში ცისფერი ტბიდან ავადხარის უმაღლეს წერტილამდე ასვლას ბიჭები 1 საათსა და 50 წუთს ანდომებდნენ, ხუთიოდე დღის შემდეგ კი ამ გზას ისინი თავისუფლად ფარავდნენ 1 საათსა და 35 წუთში. თავდაღმართებზე საშუალო სიჩქარე საათში 70 კილომეტრი იყო, ზოგიერთ, განსაკუთრებით ციცაბო მონაკვეთებზე კი სისწრაფე 100 კილომეტრს აღწევდა.

● **ვინ გამოიჩინა თავი წვრთნისას და რომელი ველოსიპედისტები იცავენ ჩვენი ნაკრების ღირსებას საფრანგეთში?**

— საფრანგეთში არიან მინსკელები დოხლიაკოვი, ლავრინენკო, ბელსკი და ურბანოვიჩი, ესტონელები კოხი და იიფერტი, კიშინიოველი სობკო და ხარკოველი ჩერეპკო. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს შეკრებაზე მყოფმა საქართველოს ველოსიპედისტებმაც; გ. ყაველაშვილმა, ი. კრასავცევმა და ა. გრიშკევიჩმა.

● **დავუბრუნდეთ ისევ „ტურ დე ლ'ავენირს“. რა შეიძლება ვაცნობოთ მკითხველებს ამ შეჯიბრებაზე?**

— პოპულარობის მხრივ „ლ'ავენირი“ საფრანგეთში მეორე ველორბოლაა „ტურ დე ფრანსის“ შემდეგ. ამიტომ პროფესიონალები რეზერვს მეტწილად „ლ'ავენირის“ მონაწილეთაგან იღებენ...

● **რა განსხვავებაა „ლ'ავენირსა“ და „ტურ დე ფრანსს“ შორის?**

— ძალიან დიდი. „ტურ დე ფრანსის“ ტრასა 4 ათას კილომეტრზე მეტს შეადგენს, „ლ'ავენირისა“ კი (იგიც პროფესიონალთა ტრასაზე გადის) მხოლოდ მისი ნახევარია. „ტურ დე ფრანსი“ უკვე კარგა ხანია, რაც დაიწყო, მოყვარულებმა კი მხოლოდ გუშინ აიღეს სტარტი. საინტერესოა, რომ სტარტს პროფესიონალები და მოყვარულები ერთსადაიმავე პუნქტში იღებენ, მაგრამ „ტურ დე ფრანსის“ მონაწილენი საკონტროლო ხაზს 2 საათით ადრე სტოვებენ. მოყვარულები ზოგიერთ სამთო ტრასას მხოლოდ სანახევროდ გადიან, პროფესიონალები კი — ბოლომდე. „ლ'ავენირი“ ახალგაზრდა ტალანტების რბოლაა, ამიტომ მასში მხოლოდ 20-25 წლის ველოსიპედისტები მონაწილეობენ.

● **ვის შეიძლება მივიჩნიოთ ფავორიტებად?**

— პირველ ყოვლისა, ფრანგები, რომლებიც თავიანთ მშობლიურ გზებზე ივლიან. შემდეგ ესპანელები, პორტუგალიელები და იტალიელები. დააკვირდით, ჩვენ მხოლოდ იმ ქვეყნების წარმომადგენლები ჩამოვთვალეთ, სადაც საკმაოდ განვითარებულია სამთო ველოსპორტი. საბჭოთა ველოსიპედისტებისთვის ეს შეჯიბრება პრესტიჟისთვის ბრძოლაა, ამიტომ ჩვენი ბიჭები გამარჯვებულთა შორის მოხვედრას შეეცდებიან.

## სპორტკამერა უცხოეთში



ნიცელი ედმე მორანი უაღრესად გამბედავი და მამაცია. იგი აღიარებულია ევროპული კინოს პირველ მსახიობად... ტრიუკების დარგში. უდიდესი რისკით ედმემ უკვე წარმატებით ითამაშა ბევრ კინოსურათში. ამ ძნელ ხელობას ესაჭიროება მკაცრი რეჟიმი და განსაკუთრებული სპორტული წვრთნა. ედმე სისტემატურად, დიდი გატაცებით ვარჯიშობს თხილამურებით სრიალში, ყვინთვაში, პარაშუტით ხტომაში და მოტოსპორტში.

სურათზე: ე. მორანი.



საფრანგეთის ცნობილი კლუბის „რეიმსის“ 1958 წლის შემადგენლობა ამ რამდენიმე ხნის წინ შეხვდა საფრანგეთის ფეხბურთის ლიგის ნაკრებს. „რეიმსის“ შემადგენლობაში თამაშობდნენ ისეთი სახელგანთქმული ოსტატები, როგორც ვენდლინგი, პიანტონი, გი, ფონტენი, კოპა და სხვ. საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3:3.

სურათზე (მარცხნიდან): ფონტენი, გი, ვენდლინგი, პიანტონი და მახაუის მაგიდაზე მჯდომი კოპა.



ეს ახალგაზრდა ინგლისელი ქალი სანდრა კირტონი იქნება ჩილის ნაკრები გუნდის თარჯიმანი მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში. იგი ხაუცხოოდ ფლობს ესპანურ ენას. აღსანიშნავია, რომ კირტონმა გაიმარჯვა ამ თანამდებობის უამრავ მსურველთან „ბრძოლაში“.

# ყოველი მხრიდან

### ჯო ლუისი... აგამემნონის როლში

რას არ მოჰკიდა ამ ბოლო დროს ხელი ცნობილმა ამერიკელმა მოკრივემ, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პროფესიონალებში — ჯო ლუისმა, რომელმაც მთელი თავისი საბადებელი უზარმაზარი ბეგარისა და მენაჯერების ბნელი მაქინაციების წყალობით დაკარგა. მწვრთნელად მუშაობაც სცადა, ვარიეტეშიც ცეკვავდა, ბარმენიც იყო... და აი, ახლა ჯო ლუისს ახალი ამპლუა გაუჩნდა.

ამ დღეებში იტალიური პრესა იუწყებოდა, რომ რეჟისორი ალფრედო ბინი იღებს ფილმს ძველბერძნული ეპოსის გმირებზე. გადაღებები სენეგალში ჩატარდება. მთავარ როლებს, როგორც წესი, ზანგი მსახიობები შეასრულებენ. მაგალითად, ორესტს ითამაშებს პოპულარული მსახიობი სემი დევისუმცროსი (აშშ).

რაც შეეხება ჯო ლუისს, მას აგამემნონის როლი შესთავაზეს. ამასთან, კონტრაქტს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაწერენ ხელს, თუ ლუისი „თავისი აქტიორული უნარის გამოვლენას შეძლებს“.

ქალღმერთ ათინას როლში ვიხილავთ იტალიელ როზანა სკიაფინოს.

### „აცტეკების სტადიონი“ და ოლიმპიური თამაშები

მომავალი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქის — მეხიკო-სიტის ახლოს გაჩნდა თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილი ვეებერთელა „აცტეკების სტადიონი“. მისი ტრიბუნები 105 ათას მაყურებელს დაიტევს. იგი თავისი ფულით ააგო მილიარდერმა აცკარაგამ, რომელსაც მექსიკაში ფაბრიკა-ქარხნების, გაზეთებისა და რადიოსადგურების მთელი იმპერია აქვს. სტადიონი მილიარდერს თითქმის 13 მილიონი დოლარი დაუჯდა.

მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აცკარაგამ ეს მშენებლობა ქველმოქმედების მიზნით წამოიწყო, — მილიარდერი მაშინვე შეუდგა საქმეს კაპიტალის ამოსაგებად.

ჯერ ერთი, მან დიდ ფასად მიჰყიდა ფეხბურთის მექსიკელ გულშემატკივრებს 10 ათასი მუდმივი ადგილი, მეორეც, ბრძანა საგანგებოდ აეგოთ 450 ლოჟა ჯიბესქელებისთვის. თვითეულ ლოჟაში არის 10 ადგილი, სააბაზანო, ტუალეტი და საკუთარი ბარიც კი. ლოჟები მუდმივია და 7.500 დოლარი ღირს. ამასთან, მყიდველმა დამატებით უნდა გადაიხადოს ფული ლოჟის „გემოვნებით მოწყობისთვის“. სტადიონს აქვს სადგომი 8 ათასი ავტომანქანისთვის. მაგრამ განა შეიძლება ჯიბესქელების მანქანები ჩვეულებრივი ხალხის მანქანებთან იდგეს? ამიტომ თვითეულ ლოჟას გვირაბით უერთდება განცალკევებული სადგომი.

რა თქმა უნდა, მილიარდერს სურს ყოველივე ეს ასევე დარჩეს ოლიმპიური თამაშების დროსაც, რაც აცტეკების სტადიონზე ჩატარდება. მაგრამ აქ საქმეში გადაჭრით ჩაერია მექსიკის მთავრობა და თამაშების პერიოდში ყოველგვარი „მუდმივი“ ადგილი და ლოჟა გააუქმა. მთელი სტადიონი მთავრობის მიერ დადგენილ ფასებში დაეთმობა უბრალო მაყურებელს.

„აცტეკების სტადიონის“ მფლობელი ოლიმპიურ თამაშებზე ხელს ვერ მოითბობს.

### რა აწუხებს „დი ველტს?“

ცნობილი დასავლეთგერმანული გაზეთი „დი ველტი“, რომელიც მილიონერ ა. შპრინგერს ეკუთვნის, ჩვეულებრივ, მხოლოდ „დიდი პოლიტიკის“ საკითხებით არის დაინტერესებული. სპორტს ეს გაზეთი თავისი 80—100 კაბადონიდან დიდი-დიდი გვერდს უთმობს. მაგრამ „დი ველტის“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში სპორტს გაცილებით მეტი ადგილი დაეთმო ერთი წერილის ხარჯზე, რომლის ავტორი აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამდა საერთო გერმანული სპორტული კავშირების განვითარების გამო.

ინტერესმოკლებული როდი იქნება გავეცნოთ ამ სტატიის ერთ-ერთ ნაწყვეტს:

„ფაქტი ფაქტად რჩება: ამ ბოლო რვა თვეში ჩატარებულ არც ერთ საერთოგერმანულ სპორტულ შეხვედრაში არ მომხდარა რაიმე ინციდენტი. არც ერთ აღმოსავლეთგერმანელ სპორტსმენს გასაქცევად არ გამოუყენებია დასავლეთის ბილეთი.

თავის დროზე ბევრი დაიწერა იმის თაობაზე, რომ როგორც კი აღმოსავლეთ გერმანიის სპორტსმენი გფრ-ის ტერიტორიაზე მოხვდებოდა, მას მყისვე ალყაში მოაქცევდნენ ხოლმე გელენის საიდუმლო პოლიციის აგენტები, პირდაპირ სჩრიდნენ ხელთ გდრ-ის მიმართ ათასგვარი სიცრუითა და ცილისწამებით აღსავსე ფურცლებს, შანტაჟს უწყობდნენ, მისგან სამშობლოს ღალატს მოითხოვდნენ და სანაცვლოდ ოქროს მთებს ჰპირდებოდნენ. ახლა თავად დასავლეთგერმანულმა გაზეთმა დიდი გულისტკივილით აღიარა, რომ ყველა ეს უპატიოსნო ცდა ჩაფლავდა. სწორედ ამას წუხს „დი ველტი“, სწორედ ეს არ მოსწონს.

ბატონ დასავლეთგერმანელ პოლიტიკოსებს ერთი სული ჰქონდათ, გდრ-ისა და გფრ-ის სპორტსმენების შეხვედრისას მომხდარიყო „ინციდენტები“, რაც, თავის მხრივ, ამ ორი გერმანული სახელმწიფოს წარმომადგენლებს გადაჰკიდებდა და, ამრიგად, სახელს გაუტეხდა თვით შეხვედრების იდეას.

ესენსა და კიოლნში გფრ-ის პოლიტიკური პოლიცია სასტუმროში, პირდაპირ ოთახში უვარდებოდა გდრ-ის ათლეტებს, გელენის აგენტები ფხიზლად დარაჯობდნენ სტადიონის გასახდელებს. ეგრეთ წოდებულმა „გფრ-ის კონსტიტუციის დამცველმა უწყებამ“ კი მატარებლიდან ჩამოსვა და უკანონოდ გაჩხრიკა ერფურტის სპორტული კავშირის თავმჯდომარე ჰ. მაისტერი, რომელიც კასელში მიდიოდა ადგილობრივ სპორტსმენებთან მოსალაპარაკებლად. იგი იქ სტუმრად იყო მიწვეული.

ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მიზნის მიღწევაში პროვოკატორებს მხოლოდ გდრ-ის სპორტსმენებისა და სპორტული მოღვაწეების თავდაჭერა და ნებისყოფა უშლით ხელს. აი, რით გახლავთ უკმაყოფილო „დი ველტი“.

### რეგამეის მოწამლული სისხლი

ბრიტანეთის ველორბოლის ისტორიამ მოყვარულ სპორტსმენთა ასეთი აშკარა თაღლითობის მაგალითი არ იცის. რა მოხდა? ვიდრე ასპარეზობა დაიწყებოდა, ინგლისის ველოსპორტის ფედერაციამ გადაწყვიტა სპორტსმენებისთვის სამედიცინო შემოწმება დაეწესებინა. ეს ღონისძიება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ამ ბოლო დროს სხვადასხვა ქვეყანაში მეტისმეტად ბევრი ველოსიპედისტი იყენებს დოპინგს. ბელგიაში, ავსტრიაში, ჰოლანდიაში, იტალიაში ნარკოტიკების ხმარებამ ამ რამდენიმე თვის მანძილზე ათობით სკანდალური შემთხვევა გამოიწვია.

IV ეტაპი შვეიცარიელმა ანრი რეგამეიმ მოიგო. მას ფინიშის დამთავრებისთანავე მოსთხოვეს — საექიმო კომისია გაიარეო, მაგრამ რეგამეიმ დაღლილობა მოიმიზეზა და გასახდელში თავის შეფარება სცადა. ექიმებმა მაინც თავისი გაიტანეს. შემოწმებით გამოირკვა, რომ სპორტსმენის სისხლი ნარკოტიკებით იყო მოწამლული. შვეიცარიელმა ექიმებს ქრთამი შესთავაზა თუ ამ საქმეს მიაფუჩეჩებდნენ, მაგრამ ვერას გახდა — შეჯიბრებიდან მოხსნეს.

ინგლისის გაზეთები წერენ, სამართლიანობამ გაიმარჯვაო. მაგრამ განა მუდამ იმარჯვებს ეს „სამართლიანობა?“ შვეიცარიელი ველოსიპედისტის საქციელი არ შეიძლება შემთხვევითი ყოფილიყო.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის საცურაო აუზის დირექცია
აცხადებს ყველა ასაკის მსურველთა მიღებას ცურვის გამაჯანსაღებელ ჯგუფებში.
მსურველებს შეუძლიათ შეიძინონ დილის, შუადღისა და საღამოს საათებში სამეცადინო აბონემენტები.
აბონემენტების გაყიდვა წარმოებს ყოველდღე, 9-დან 20 საათამდე. აუზის მისამართია: ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, № 49-ა.
აუზის დირექცია.



ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 9 უე 04962